

# თეატრი

ქართული საკვირაო გაზეთი

## „თეატრი“

ღირს ერთი წლით . . . 5 მან.  
 „ნახევარ წლით . . . 3 „  
 „ცალმა ნომერით . . . 15 მ.  
 განცხადების ფასი:  
 პირველ გვერდზე . . . 20 „  
 უკანასკნელზე . . . 10 „  
 თვითო სტრიქონის ადგილი  
 ხელის მოწერა და გზავნის გარდა,  
 დაუბრუნდება უფასოდ ექვსიდან თორმეტამდე  
 სახლი წიგნი ანუ სურათი.  
 ხელის მოწერა მიიღება „თეატრის“ გან-  
 ტორში, თავად-ანაწიურთა ბანკის თეატრის  
 ქვეშ, სახანოს ქუჩაზედ.

Контора Грузинской воскресной лите-  
ратурно-иллюстрированной газеты

## „ТЕАТРЪ“

помещается на Дворцовой улицѣ, подъ  
театромъ Лворинскаго банка.  
 Плата съ объявленій: на первой стра-  
ницѣ 20 к., на послѣдней 10 к. за  
мѣсто строки пегита.  
 Адресъ для иногородныхъ: Тифлисъ,  
Контора газеты „Театръ“.

თბილისი, 25 თებერვალი

გვინდა, ანუ გულის-თქმა,  
 ისეთი თვისება ადამიანისა,  
 რომ მისი დრამობით და მის-  
 სლობით აწონა ეოვლად შეუ-  
 ძლებელია, განსაკუთრებით მა-  
 შინ, როცა გრძობის გამოთქმა-  
 ეკუთვნის არა ერთს ადამიანს,  
 არამედ მთელს ხალხს. ხალხი

## ფელეტონი

### პირველი შემადგენელი აქტორების ფელეტონი.

წარსული ომის შემდეგ, მე დამ-  
 ნიშნეს ბატარის უფროსად ქობულ-  
 ლეთის ოტრიადში. ამისათვის უნდა  
 წავსულიყავი ყარსიდან თბილისზედ  
 გურიასა და ქობულეთში და გა-  
 მეგლო თითქმის მთელი საქართვე-  
 ლო. თუმცა მე ვცადი, რომ იქ  
 ლამაზი და მდიდარი ბუნება არის  
 მაგრამ იმან, რაც აქ ჩემი თვა-  
 ლითა ენახე, სულ გადააჭარბა ჩემს  
 მოლოდინს: წარმოიდგინეთ ტყეები,  
 საესე მრავალ გარე ხეხილით, უზარ-  
 მასარი ლეღებით, ყველა ღივზედ  
 შემოხვეული ვაზებით, მრავალი რო-  
 დოდენდრონი და ხეების უმეტეს-  
 ბელ სიმალტეზედ ასული მცენარე-  
 ბით, და თქვენ მიხედვით, რომ ყვე-  
 ლა ამას უნდა მოეყვანე ალტაცება-  
 ში, მით უმეტესად, რომ დიდი ხნის  
 განმავლობაში, ომის წინა დღეებში  
 ში და შემდეგ ყარსთანაც, მე არ მე-  
 ნახა თითქმის არც ერთი სულ უზრა-  
 ლო ხეც-კა.

რასაკვირველია, ბუნებაზედ კიდევ  
 უმეტესად მე მიზიდავდა იქაური ხალ-  
 ხი, ძველადანვე მოწყვეტილი დანარ-  
 ჩენ საქართველოსაგან და გამაჰმა-

ჭხარობს საერთოდ მსოფლოდ  
 მაშინ, როცა მართლაც სასინა-  
 რულო რაიმე აქვს, და ნაღუ-  
 ლობს მაშინ, როცა სამწუხარო  
 რაიმე ეწვევა. შეიძლება ამგვარ  
 შემთხვევაში კერძოდ ერთი და  
 ორი ადამიანი შესცდეს, გა-  
 სვიადოს მიხესი სინარულისა,  
 ანუ მწუხარებისა, და მისმა  
 გრძობის გამოთქმამ ნამდვილ  
 მიხესს გადააჭარბოს. მაგრამ ესე-  
 თი შეცდომა, ვგონებთ, მთელ  
 ხალხს მხელად ოუ მოუკადეს.  
 უკეთუ მთელი ერთი სასოგადოდ  
 ნაღულობს რაიმეს, ჭკლოვობს  
 და სტირის, მაშინ მას, უეჭვე-  
 ლია, ზატოვ-სადები და სკამო  
 მიხესიც უნდა ჭქონდეს.

ამგვარ მდგომარეობაში ჩვენი  
 ხალხი ამ უკანასკნელს დროს  
 ორჯერ იმყოფებოდა: ერთხელ,  
 როცა მან დ უიფიანი დაჭარ-  
 გა და დამარხა, მეორეთ ესლა,  
 როცა უწვალო სიკვდილმა დი-  
 მიტრი ბაქრაძე მოულოდნელად  
 მოგვტაცა. ეოვლამ ნაწილმა  
 ჩვენი ქვეყნისა, ეოვლამ კუთ-  
 სემ ერთხანად იგრძნო ამ სა-  
 უკეთესო ქართველისა და მო-

ღიანებული. სურვილი ამ ხალხის გა-  
 ცნობისა ამისრულდა, როცა გათავდა  
 ომიანობა.

ზავი რო ჩამოვარდა, ქობულეთის  
 ოტრიადის ორი ბატარია არტილე-  
 რიისა და რამდენიმე ნაწილი ქვეითა  
 ჯარისა დაარჩინეს წინა პოზიციასზედ  
 ხუტუბანში, დანარჩენს ჯარებს კი  
 უკან დასწიეს ოზურგეთისა და იმის  
 მიდამოებისაკენ. რამდენსამე ხანს  
 ჩვენსა და ოსმალის ბანაკებში დაი-  
 რებოდნენ აფიცრები და სალდათები,  
 წინა დ მტრად ნაყოფი ჯარებისა, მა-  
 გრამ მალე გაჩნდნენ ვაჭრებიც—ქო-  
 ბულეთლები, სხვა და სხვა ევროპიუ-  
 ლი სასმელებით, თამბაქოთი და აბ-  
 რაშუმეულით. ეს ვაჭრები ლაპარა-  
 კობდნენ წმინდა ქართლის ენით;  
 ამათა ჰქონდათ დავთრები, საცა  
 ქართულათა სწორდნენ ყველა სა-  
 ვაჭრო ნივთებს, მხოლოდ ხმარო-  
 ბდნენ არაბულ ანბანს. ამ გარე-  
 მათებამ გამოკვირვა და, რასაკვირველია,  
 მინდოდა შემეტყუა ამისი მიზეზი:  
 სხვა და სხვა პირთ ნამბობიდან მე  
 შევიტყუე შემდეგი: ყირიმის ომის  
 დროს ოსმალეთის მთავრობა და-  
 წმუნდა, რომ ქობულეთის მცხოვრე-  
 ბენი და გურულები ერთი და იგი-  
 ვე ხალხია და ქობულეთებს უნდათ  
 შეერთება ქართველებთან, რუსთ-  
 ხელმწივის ბრძანებლობის ქვეშ.

ღვაწის დაკარგვა და ერთ-ნაირ-  
 დაც გამოაცხადა თვისი უსომო  
 მწუხარება. ნუ თუ ეს მწუხარე-  
 ბა მთელის ერისა, ეს ნაღულობა  
 და ვაება—სანტიმენტალური გრძ-  
 ნობა იყო, არა ნამდვილი და  
 ჰეშმარტი გულის-თქმა?! მარ-  
 ტო ნათესავეებს და ნაცნო-  
 ბებს რომ ეკლოვათ და დაეტი-  
 რათ განსვენებული, მაშინ კიდევ  
 შესაძლო იყო ეფიქრა კაცს,  
 რომ კლოვა და მწუხარება მე-  
 გობრულის და ნათესაურის  
 გრძობით არის გამოწვეულიო,  
 მაგრამ რაკი მთელი ქვეყანა და  
 მთელი ხალხი ერთად და ერთ-  
 ვარად ჭკლოვობს და სტირის  
 მის უდროოდ დაკარგვას, უე-  
 ჭველია, სკამო და ზატოვ-სადე-  
 ბი მიხესი უნდა არსებობდეს.  
 აქ კულ-ჩვილობა და ამაო გა-  
 სვიადება რა მოსაფიქრებელია!  
 რიტორიკა აქ რა შუაშია! არა,  
 ჩვენმა ხალხმა ამ უკანასკნელს  
 დროს იმოდენად შეიგნო და  
 ვაიგო საზოგადო ინტერესები  
 ქვეყნისა, მისი ავი და ვარგი,  
 და იმდენად სცნობს იგი თვის  
 მტრებსა და მოყვარეს, რომ ჯე-

ამ სურვილის მოსახპობლად, ოსმა-  
 ლები ბლომად გზავნიდნენ სტამბოლ-  
 ში ქობულეთების ბავშვებს და  
 ჰზრდიდნენ სხვა და სხვა სასულიერო,  
 საერო და სამხედრო სასწავლებლებ-  
 ში. აქ ბავშვები ითვისებდნენ ოსმალ-  
 თის სარწმუნოებას, ენას, ზნეს და  
 ჩვეულებას. თავიანთ სამშობლოში  
 დაბრუნების შემდეგ, ამათ აძლევდნენ  
 თანამდებობას მოღვაწისა, ათის-თავო-  
 ბას, ასის-თავობას და სხვა. ქობულეთს  
 ჰქონდა სამხედრო განწყობილება. ეს  
 გაოსმალებული მოხელეები ძალიან  
 მოკმედდნენ თავის ხალხზედ და  
 ავიწყებდნენ თავის ენაობას, უნერ-  
 გავდნენ გულში სიძულულს თავის  
 მოძმებთან; მაჰმადიანობას და ოს-  
 მალს უზღიდნენ თავის სამშობლო  
 სჯულად და ხალხად.

თუმცა ოსმალთაზედ თავსა სდებ-  
 დნენ, მაგრამ მაინც ქობულეთლებს  
 ახსოვდათ კიდევ, რომ ისინი ქართვე-  
 ლები არიან შთამომავლობით; ზოგი  
 ერთ სახლობაში კიდევ იციან ქო-  
 ბულეთი წერა, მაგრამ იმნაირი-კი, რომ  
 მხოლოდ კარგს მცოდნეს სხვა და  
 სხვა დროის ქართული ნაწერისას  
 შაუთლიან წაიკითხოს იმათი ნაწე-  
 რი. ერთხელ მე ვიყავი ოტრიადის  
 უფროსად, რადგანაც ჩემი უფროსი  
 ოზურგეთში იყო წასული. ამ დროს  
 მოვიდა ჩემთან ერთი ქობულეთ-

როვნად აფასებს ეოველის თვი-  
 სი წვერის ღვაწლს და, როცა  
 დრო და კარგდება მოითხოვს,  
 ზირ-უთხელ თანა-გრძობას  
 უცხადებს, შეძლებისა-მებრ.  
 სწორედ ასე მოხდა ესლაც,  
 როცა მთელმა ქვეყანამ და ხალ-  
 ხმა იკლოვა და დაიტირა თვი-  
 სი მვირფისი და საუკეთესო  
 წვერი, განსვენებული დიმიტრი  
 ბაქრაძე.

ისეთი მოღვაწის დაკარგვა,  
 როგორც განსვენებული იყო,  
 არა თუ ჩვენის გაუნათლებელი  
 ქვეყნისა და ერისათვის, არამედ  
 უფრო განათლებულის და გან-  
 ვითარებულის ხალხებისთვისაც-  
 კი, უეჭველია, დიდათ საგრძნო-  
 ბელი იქმნებოდა და, სადაც უნ-  
 და ეოფილიყო იგი, რომელი  
 ხალხის შვილიც უნდა ეოფი-  
 ლიყო, მისი სიკვდილი ეოველ-  
 გან დიდს მწუხარებას, თანა-  
 გრძობასა და ზატოვის-ცემას  
 გამოიწვევდა. მაშ, ნუ თუ ჩვენ  
 არა გვპატივდება საერთოდ გლო-  
 ვა და მწუხარება? უმეტეს მაშინ,  
 როცა ჩვენ მისთანა ერთგული,  
 შრომის მოყვარე, დაუღალავი

თავანი ოფიცერი, მოენითურთ, და  
 მოიტანა წერილი, ქართულს ენა-  
 ზედ დაწერილი, გამ გზავნილი ქა-  
 ლაქს ქობულეთის ოსმალის გარნი-  
 ზონის უფროსისაკენ. რაწამს შევხე-  
 დე ამ აფიცრს, მაშინვე შევატყუე,  
 რომ ის ქობულეთის თავდათავანი  
 უნდა ეოფილიყო; მართლაც მე არ  
 შევცდი, ის იყო ქობულეთი ნიჭერა-  
 ძე. ე აფიცერი შემოვიდა ჩემთან,  
 მომწვოდა წერილი და უნდოდა და-  
 ეწყო ჩემთან ლაპარაკი მოენის შემ-  
 წობით. როდესაც მე დაეუწყე ქო-  
 ბულეთ ლაპარაკი, იმას ძალიან გაუ-  
 კვირა. მე ვსთხოვე აესხნა ჩემთვის  
 შინაარსი წერილისა. რადგანაც მე  
 იმაში ერთი სტრიქონიც ვერ წავიკო-  
 თხე—ისე ცუდად იყო დაწერილი.  
 საუბარმა ამასთან, აგრეთვე სხვებთან-  
 ნაც დამარწმუნა, რომ ქობულეთს  
 მებატარებნი ძალიან ცუდის გულით  
 იყვნენ რუსებზედ და არ გვეუბნებოდ-  
 ნენ ამის მიზეზს, მხოლოდ მოკლედ  
 ამობდნენ, ჩვენ თავის დღეში ვერ  
 დაუახლოვდებით რუსებსაო. უბრა-  
 ლო ხალხიც ამასვე ამობდა, მხო-  
 ლოდ უმატებდა, რომ ჩვენი ზენი  
 და ჩვეულებანი და რუსებისა ძალიან  
 შორის-შორის არისო: რუსი ხალხში  
 შვევა, ერთს კი იტყვის, „ზღო-  
 სტი ზნაკომა“ და მაშინვე გა-  
 სწვეს პირდაპირ ქალების სადგურში.  
 ჩვენში ეს დიდი სირცხვილია, რადგა-

და გამოცდილი არსეოლოგი  
 და ისტორიკოსი სხვა არა  
 გვევადა.

მართალია, ბატ. ნ. ნიკოლა-  
 ძე გვითითებს ჩვენ სოცეორთებ-  
 სე, მაგრამ ორი მათგანი (ბბ.  
 გ. წერეთელი და სინანაშვი-  
 ლი), დარწმუნებული ვართ,  
 თვითონაც არ მოელოდნენ და  
 არც ესინამოვნებათ ესეთი შედა-  
 რება, რადგანაც მეთოდი და  
 საგანი მათის გამოკვლევისა სულ  
 სხვა-და-სხვა არის. რაიცა შეე-  
 სება პროფესორის ცვაზრელის  
 შედარებას, თუმცა კი იგი თვი-  
 თან განსვენებულს მსოფლოდ  
 მოყვარედ და არა ნამდვილ ის-  
 ტორიკოსად და მეცნიერად უწო-  
 დებს, მაგრამ მაინც ვერაინ ვერ  
 იტყვის, რომ ზატოვ-ცემული  
 პროფესორი ისეთი დასელოვნე-  
 ბული და საკუთარი გამოკვლე-  
 ვით მდიდარი იყოს საქართვე-  
 ლოს წასრულისა და აწმყოს  
 ცოდნაში, როგორც განსვენე-  
 ბული იყო. ვინ არ იცის, რა  
 სამსახური გაუწია ბატ. ცვა-  
 რელმა ჩვენ ქვეყანასა და ხალხს  
 თვისის მოუფიქრებელის და

ნაც სახლის პატრონის ალალ ძმასაც  
 არა აქვს ნება, რომ ჰარამანაში შე-  
 ვიდეს. ბევრს კი უფრო ის მოჰყენ-  
 და მიხეზად, რომ წინანდელი ომების  
 დროს ოსმალეთის ქართველნი თანა-  
 უგრძობდნენ რუსებს და ევონათ,  
 რომ რუსეთი შეუერთებდა იმათ ქვე-  
 ყანას თავის სამფლობელოს, მაგრამ  
 რუსები არ ასრულებდნენ თავის ალი-  
 თქმას. ოსმალნი ამის გულისთვის  
 ემტყებოდნენ ამათ და ომის შემდეგ  
 ამათზედ ჰყოლიობდნენ ჯავრსა რუსე-  
 ბის ერთგულობისათვის.

მალე ჩვენცა და გარეშე მო მცხოვ-  
 რებელთაც გავიგეთ, რომ მორიგების  
 ტრაკტატის ძალით მთელი ბათუმის  
 სანჯაყი გადადის რუსეთის ხელში იმ  
 პირობით, რომ მცხოვრებელთ, ვისა-  
 ცა ჰსურს საოსმალოში გადასახლება,  
 ამისი უფლება აქვს სამის წლის გან-  
 მავლობაში. მორიგების შემდეგ მე მე-  
 მხედნენ კარვა ბლომათ ქობულეთე-  
 ბი, რომელნიც ეოფილიყვნენ გენე-  
 რალს ოგლოპიოსთან სათხოვნელათ,  
 რომ სიმინდი ესესხებინათ, რადგან  
 ომიანობის გამო ქობულეთებს ნანა-  
 ვები ცოტა ჰქონდათ.

მე ქართულად მივეც სალაში. გაი-  
 გონეს თუ არა ქართული ენა, შედ-  
 გნენ. ერთმა მოხუცთავანმა, აფიცრის  
 პავონებით და ორდენებით სავსემ,  
 მკითხა, ვინა ხარო? მე ვუპასუხე, რომ

უსაფუძვლო თეორიის წარმო-  
თქმით მეგრელებისა და იბთი  
ენის შესახებ! ისიც რომ ეველიმ  
ვიციტ, რა ნაყოფი გამოიღო  
მისმა დიპლომატმა. განსვენებუ-  
ლი დიპლომატი ბაქრაძე ისეთი  
ფრთხილი, ისეთი გამოცდილი  
და დასწავლული მეცნიერი  
იყო, რომ ესეთ შეცდომას  
არასოდეს არც თვითონ ჩაუბრ-  
უნებდა და არც სხვას და-  
უენებდა საუკუნო ვნახედ.

†

ს ი ბ ე შ ა,

თქმული ბატ. ნ. ლამაზისაგან 11-ს თე-  
ბურჯალს დ. ზ. ბაქრაძის შანაშაღზედ,  
ქ. გორში.

უბატოცემულენო მამნენლო  
ყოველს თქვენგანს უკუ შეტყობილი  
ექნება ის მეტად ხამწუნარო ამბავი,  
რომელიც გუშინ თბილისიდან მო-  
გვიდა! ერთი მენი კიდევ დასცემია  
ჩვენს უბედურს სამშობლოს! ერთი  
ბურჯი, მტკიცე და მაგარი, კიდე წა-  
შკტევი ჩვენს, უამისოთაც, დაძაბუ-  
ნებულს ეროვნებას! აღარა გვეყვს  
ჩვენი სახელ-განთმული მეცნიერი, პა-  
ტიონებით სავსე კაცი, ჭეშმარიტი  
ქართველი!.. სოგველია მოამაგე  
მამა, გამოცდილი, ბრძენი მასწავ-  
ლებელი; ერთგული, მოსიყვარულე  
მეგობარი!.. დაუღალავს მოღვაწეს  
მწარედ გულ-ხელი დაჰკრეფა და  
საუკუნო განსვენებას მისცემია იგი,  
რომელსაც სამშობლო ქვეყნის წარ-  
სულზედ ფიქრი არც დღე და არც  
ღამე მოსვენებას არ აძლევდა! ჩვენი  
ძვირფასი, მშვიდი, უწყინარი დიპლო-  
მატი სამუდამოდ გამოსალმებია ამ  
უსამართლო წუთი-სოფელს!

ვინ დაიჭერს მის დიპლომატულს  
ადგილს? ვინ გვახვს ამის შემდეგ  
დიპლომატი ბაქრაძეობას?! აი ის სა-  
ვალაზო, საუბედურო კითხვები, რომ-  
ელიც, ეჭვი არ არის, არა ერთს  
თქვენგანს დაებადებოდა თავში, რომ-  
ედსაც ამ სამწუნარო ამბავს პარეფ-  
ლად ყური მოჰკარით!.. გული კედ-  
ბა, სული მწუნარებოთა და სასოწარ-  
კვეთილებით ივსება, რომედსაც ამ სა-  
ვალალო კითხვებს გულდადებით  
უფიქრდები და ამავე ჟამს წარმოად-  
გენ იმ კაცის ათას-ათას ღარსებით  
შეპყულ შიროვნებას, რომელიც ასე  
უფროვ დაეკარგეით ჩვენა!

ერთი უბრალო, ღარიბ-ღატაკი  
ღვთის შვილი მხოლოდ თავის სი-  
ნილისანიან შრომით გამოჩენილი კა-  
ცი განდა: მეცნიერთა შორის თანა-  
სწორ ძმად და ამანაგად იხსენიებო-  
და, მთავრობისაგან პატივცემული  
იყო; ხოლო სამშობლო ქვეყანა მას  
თავის იმედით და ნუგეზად რაცხე-  
და სხვა უმისოთაც გააზვიადებდა,  
ამპარტანების ფრთებს შეისხავდა და  
მედიდურობას მოჰკვებოდა! მაგრამ  
დიპლომატის წინადა და უმანკო ბუნე-  
ბაზედ ყველა ამთ ვერაფერით ცუ-  
დი განგონა ვერ მოახდინეს.. ფისაც  
კი უნახავს განსვენებული, ყველას  
კარგათ ეხსომება მისი ვასაოცარი  
თავმდაბლობა, უბრალო ყოფა-ქცე-  
ვა, სამაგალითო ზღაპარი! დაუშა-  
ტეთ ამას განვითარებული კულტურა-  
ნება, პატროსან გრძობებით სავსე  
გული და მაშინ სრულიად ცხადი  
იქნება ის პატივის-ცემა, რომლითაც  
შესტკეპროდნენ მას ყოველი მისი  
მცნობნი: ნაწილნი, თუ უსწავლელ-  
ნი, შინაურნი, თუ გარეშენი!

ამ პირად ღირსეულებათ გვერდს  
უმწვენდნენ მისი საზოგადო, თვალ-  
საჩინო ღირსეულებანიც! მან დაარსა  
ქართული არხეოლოგია, ეს უტყუ-  
არი მოამბე წარსულისა! განუწყვეტე-  
ლის შრომით და მეცადინეობით მან  
შეაგროვა მრავალი მასალა ისტო-

რიისა; განათლებულს, გამკრიახის  
გონებით გასჩნობა იგი, ბზე გვერ-  
ზედ გადაჰარა, ხოლო მარცალი  
მეჭკრიბა თვის საუნჯეში. მათის  
შემწევობით სამშობლო ქვეყნის წარ-  
სულს ფარდა ახადა და იქ დამარბუ-  
ლი ამბები წინაპართა ბოძისავეთ წინ  
გადაუშალა მთელს განათლებულს  
კაცობრიობას... მისმა მადლიანმა  
მოღვაწეობამ ჟამთა ვითარების ბორ-  
ბალი უკანე გადმოატრიალა და მით  
ბრწყინვალე გვირგვინი დადგა ჩვენს  
მრავალ-ტანჯულს მოამაგე დედას-სა-  
ქართველთა. ვაი, რომ უწყალო სი-  
კვდილმა აღარ დააძალა მას, ავგო  
წმიდა ტაძარი მოამაგელისა იმ მკვიდრ  
საფუძველზედ, რომელიც მან ჩაჰყარა  
ასეთის მხნეობით, მოფიქრებით და  
თავდადებით!..

მშვიდობით, მშვიდობით, ჩვენო  
ძვირფასო, საყვარელო, სასიქადულო  
დიპლომატი!.. შენი სხეული დღეს თუ  
ხელო შევს მიწას ამოფარება, ხოლო  
შენი უმანკო სული კი მუდამ ჩვენ  
შორის იტრიალებს... ის გაგვაჩნე-  
ვებს ჩვენ ჭირსა და ვაებაში; ის და-  
გვატკობს ჩვენ ღმერთსა და ბედნიე-  
რებაში! ის მესახავს ფრთებს კეთილ  
მუშაეთა და გზის მ-ჩვენებელ ვარ-  
სკელად გაუძღვება მათ წინ ცხოვ-  
რების არე-დარეულ ასპარეზზედ...  
ხოლო მათთვის კი, რომელთაც წუ-  
თი-სოფელში გამარჯვების საშუალებ-  
ათ თვის ღირსებათა დამკრება მო-  
ძმეთა ღალატით, სამშობლო ქვეყნის  
არგულობა აურჩევიათ, იგი იქნება  
განხორციელებული საკედური და  
წყველა-შეჩვენება ამიერ-უკუნისამდე.  
მშვიდობით!.. ბედნიერია ის კაცი,  
რომელსაც, შენსავით, წინ ჭეშმა-  
რიტება მიუძღვის და უკან მისდევს  
«კვალი განათლებული».

დ. ზ. ბაქრაძის ბადაცვალებამ.  
სადაც ოდესმე დიდი თამარი  
ზვიდით რთავდა თვისსა ქარწილსა,  
იქ აწ განის ის გლოვისა ზარი  
და ვაებით ზრუნეს შინსა სიკვდილსა!

ში მოგვლით სიმშობისაგან სიკვდი-  
ლი; თუ ვინცოდა გადასახლდებით,  
მაშინ თქვენცა და თქვენი შვილებიც  
დასწყევლით იმათ, ვინც გირჩიით  
თქვენი სახლ-კარის და მამულის თა-  
ვის დანებება. თქვენ ისეთივე ქარ-  
თველები ხართ, როგორც ჩვენც,  
მართლმადიდებელი ქართველი, და  
სარწმუნოებამ არ უნდა დაგეშოროს  
ჩვენ ერთმანერთთან; პირ-აქით, ჩვენ  
უნდა ვისარგებლოთ შემთხვევით და  
შევერთდეთ ისე ერთ ერთ რუსთ-  
ხელმწიფის ბრძანებლობის ქვეშ.  
ამასთანავე დაუშაბე, რომ რუსის  
მთავრობა იმ მამულებს, რომელსაც  
ხალხი სტოვებს უბატრონოდ, ურიგებს  
სახელმწიფო მოსამსახურე პირთა.  
ამ მხრივ ჩემთვის პირადად ძალიან  
სასარგებლო იქნება თქვენი გადასა-  
ხლება და ქვეყნის დაცარიელება,  
რადგანაც მე მარტოვედ ათას დესე-  
ტინამდე მიწას თქვენს ედემის მზავს  
ქვეყანაში, მაგრამ მე, როგორც მა-  
მულის შვილი, გირჩევთ, რომ ნუ ჩა-  
იღნთ მაგისთანა დიდ შეცდომას,  
რის ვასწორებასაც ვეღარ შეიძლებთ  
მეთქი. ქაბულელებმა მადლობა მი-  
თხრეს რჩევისათვის, გამოემეშვილა-  
ნენ და დამპირდნენ, ვიფიქრებო.

ამავე დროს ჩემთან ხშირად მო-  
დიოდა სოფელს სამებას მცხოვრებე-  
ლი სულეიმან დიასამიძე; ამისაგან  
ყვიღულობდი სხვა და სხვა ხორავსა.

შემდეგ ამასაც ისეთივე ლაპარაკი და-  
უწყე, როგორც ზემოდ მოყვანილ  
ქობულელებს. მე მოვიპოვე იმის ნდო-  
ბა. ერთხელ ის მოვიდა ჩემთან და მით-  
ხრა, რომ სამებაში დანიშნულია ყრი-  
ლობა მოსალაპარაკებლად, გადასა-  
ხლდეს ხალხი, თუ არა, საოსმალო-  
ში და მე ვილაპარაკებ ყრილო-  
ბაზედ იმას, რაც თქვენგანა მაქვს ჩა-  
განებულო. რამდენიმე დღის შემდეგ  
სულეიმან დიასამიძე მოვიდა ჩემთან  
და მიაშო ყრილობის შესახებ, რომ  
ყრილობა დაეთანხმა იმისგან გამო-  
თქმულს აზრს, რომ ათმა თუ თხუთ-  
მეტმა სოფელმა დანიშნეს ადგილი და  
დრო ამ საგნის შესახებ მოსალაპარა-  
კებლად, რისათვისაც ორი კვირის  
შემდეგ უნდა შეიყარნენ იმ სოფლე-  
ბის ამორჩეული კაცები; სოფელს სა-  
მებას აურიოთ თავის კაცთ სულეიმა-  
ნი, რომელიც დამპირდა რომ საერ-  
თო ყრილობაზედ ვერჩევი, ხალხი არ  
გადასახლდესო. ერთი - ორი დღის  
უკან, ამ მოლაპარაკების შემდეგ, მო-  
ვიდა ჩემთან სულეიმან განარებული,  
რომ ყველა დებუტატები დასთანხმე-  
ბოდნენ იმას, და მიაშო, რომ ამით  
აირჩიეს თავიანთ შორის ხუთი კაცი  
და ამთში თითონ სულეიმანიც; ესე-  
ნი უნდა წასულიყვნენ ოზურგეთში  
თავად გრიგოლ გურიელთან და შე-  
ეტყუათ იმის აზრიც, დიდი ხანი არ  
გავიდა, სულეიმან დაბრუნდა და მი-

მეისტორიეს საისტორიო  
სალხინო ევლი გერგო საფლადად,  
რომ, მანც, აღარ მოიშორიო  
ის, რამაც შენ გყო მკვდარიც უკვდავად  
—  
გასაკვიფროა დრო-ჟამთაქცევა,  
ღმერთი და ქირით მკვეთად მარუნავი;  
მაგრამ... მითაც-კი ბუერი ირკვევა,  
თუ სად შესდგება ცხოვრების ნაფი.

სამ სენათ შორის იტვირთე მშვიდად  
დასაბამიდან ბრძენთა მცნებულო:  
მამულს შესწირე სიკოცხლე წმინდად  
და იქმენ მისთვის თავდადებულო.  
—  
მტკიან ეტრატთა და ციეთა ქეთა  
გამოუწოდე სალაპარაკოდ,  
მოათხრობინე მამა-პაპათა  
ქველნი საქმენი სწორ-თარაკოდ.

აუწე შენის მკვდარი მოწმებით  
სიკოცხლე ერის ქვეყნის სწავლულთა,  
და აურიცხე ათასის წლებით  
სიერცე მათ ძველთა ჟამთ-გადასრულ-  
თა.  
—  
გამოიყვანე მიწით სინათლე  
და ნანგრევთაგან ქების ტაძარი,  
მურჯთა ძველთაგან ერის სიმართლე  
და მეტყველთაგან—ბევრი მბაძარი.

მხარობელი „გმირთ სავანეთა,  
ხარ მოჩემართა სწალოთ „ოტია“  
მამა ხარ მართალ მატინეთა,  
ვითა ბერძენთა ჰეროდოტია.

შთამომავლობა შენ-ნაამ გმირთა  
საფლავს მოგიძღვა, გლოვით ვებუღ ი;  
გუნდი დიდების გვირგვინ-დამკრთა,  
გარს შემოგვება მწობარ-მეგრებულო.

ერთობამ სულის, ერთობამ გულის  
გარს რომ მოიცვა შენი სამარე,  
მადლი აღმოხდა კუბოსგან ხმუ-  
ლის:  
—მსწრაფლ ისტორიით გაითამარე.

თა-ა, რომ უეჭველად შენ და თვალა  
გრიგოლ გურიელს პირი გქონდათ  
ერთმანეთისათვის მიცემული, რომ  
ერთსა და იმავეს ეუბნებოდით ქაბუ-  
ლელებსაო. მე ეუბასუბე სულეიმანს,  
რომ, სამწუნაროდ, არ მქონდა შემ-  
თხვევა გამეცნო თავადი გურიელი,  
მიახანეს მხოლოდ ერთხელ ოზურ-  
გეთში, სადაც წარმადგინეს კიდევ  
იმასთან, მაგრამ ორიოდ სიტყვის  
მეტე არ გვითქვამს ერთმანერთისა-  
თვის და, თუ სიტყვა-პიტყვით ერთ-  
სა და იმასვე ვლაპარაკობთ, აქ  
საკვირველი არა არის რა, რადგანაც  
ყოველი ქართველი პატრიოტი ამას-  
ვე ურჩევდათ ქაბულელებს.

მაღე რამდენიმე სოფელი, რომელ-  
თაც წინადავე უნდოდათ გადასახლება  
და ამისათვის არც დებუტატები ჰუე-  
დათ გაგზავნილი ზემოსხენებულ ყრი-  
ლობაზედ, აიბარდნენ, დაუსხეს თავი-  
ანთ ცოლ-შვილი ურმებზედა გასწიეს  
ოსმალეთისაკენ; მაგრამ გზაზედ დმ-  
ეყენებინათ და ებრძანებინათ, უსა-  
თუოდ ქალაქ ქაბულეთში უნდა  
შეიაროთ და გამოართვათ პასპორ-  
ტებიო. მისულიყვნენ ქაბულეთში და  
გავეგათ, რომ ოლქის უფროსად  
დაუნიშნათ თავადი გრიგოლ გუ-  
რიელი. გადასახლების მსურველთ  
აღარც კი ავიღოთ პასპორტები და  
დაბრუნებულიყვნენ თავიანთ სახლებ-

შენ შეაერთე მამულის შვილინი  
შენის სიკვდილის მწუნარებითა.  
შენ შეაერთე ღმერთს წაჭედილინი  
მომავალ დროსა მაგ მოძღვრებითა.  
—  
გონების, ცოდნის და გრძობის  
ძალი,  
რაცა ჰქონია შენსა სახელსა,  
ასწავლის, რაა სამშობლოს ეალი  
და განამტკიცებს ყველა მნახველსა.

მუნ დაიწეროს: „ამ დიდს ადგილსა,  
დიდის მეფესა საქარწილოსა,  
გკრძალავთ დიდს-ნაღვალს, კირ-გა-  
დახდილსა,  
კაცს უზაკველსა, სანაწილოსა.

აქ შეეწყნარა წმინდას სამარხსა  
ჩვენი წასრულის ნათლის მიმფენი,  
რომ მით ასწავოს მშობელსა ხალხსა  
ამ დროს შვილთაგან სამშობლოს  
ძღვენი.

მამულის მსხვერპლად, სანთლად  
მწიგნარე,  
ჟამთ წყვილადთაგან სხივ-ამომტვირი,  
მრავალ-კეც ღვაწლთა მარტო მძლე-  
ბარე,  
აქ ჩაგვისენდა ცოდნისა გმირი.

ჩვენი დიდების სწორედ აღმდგენი,  
იგია მრუდის გამომკვართველი;  
აქ თაყვანს სცემდეთ ქართლოსის  
ძენი:  
აქა მარხია—დიდი ქართველი!“  
ნ. დადიანი.

განსვენებულის დიპლომატი ბაქრაძის  
კუბო და ეტლი მრავალ გვირგვინით  
იყო მოართული. ეს გვირგვინები მე-  
რე საფლავს შემოავლეს.  
ზოგი ლითონისა, შუშისა, ზოგი  
მძივისა, ზოგიც მწვანე ფათის  
და ყვავილისა ბევრიც მათგანი  
ჰეტად მოხდენილი იყო. მეტადრე  
თბილისის სამღვდლოების და ქალების

ში: რილასათვის გადაესახლდეთ ოს-  
მალეთში, როდესაც უფროსად გვე-  
ყოლებათ თავ. გრიგოლ გურიელი? ე  
ამბავი მიაშო იმავე სულეიმანმა. გრი-  
გოლ გურიელს დიდი ნდობა ჰქონ-  
და ქაბულეთში.

მე მაცნობეს, რომ მოკლე ხანში  
ჩემი ხელქვეითი ბატარეა გადაყვანილ  
იქნება ქალ. გორში, სადაც უნდა  
ყოფილიყო იმისი შტამ-კვარტრა.  
სულეიმანი დამპირდა, გორში განხა-  
ვო, და მთხოვა, რომ, ერთი დიდი  
ქართული წიგნი მაქვს, მოგიტან და  
იმანედ შენი ადრესი დამიწერო. მა-  
გრამ ვეღარ მოასწრო ამ წიგნის მო-  
ტანა, რადგანაც ბატარეა ტელეგრაფ-  
მით დაიბარეს ქალაქ გორტი მეც  
გამოეგთხოვე ქაბულეთს და წამო-  
სვლის დროს ვერა ვნახე ვერც წიგნი,  
ვერც სულეიმანი.

თუ საზოგადოდ საოსმალო ქართ-  
ველობა ამ დროს გადასახლდა თავის  
ქვეყნიდან—მიზეზი ამისი იყო უპა-  
ტრონობა: ერთი ორი რიგიანი ჩამ-  
გონებელი და... ისინი არასოდეს არ  
დასტავდნენ თავის ქვეყანას, სადაც  
იმოდენა სისხლი ჰქონდათ ჩაღვრილი  
იმათს მამა-პაპასა.

ქრ. მამა-შვიდი.



ოტენასთან არის არის შკოლა, სწორედ  
რით „ასა და დედამიწას შუა დავი-  
დულ“ ასრე ღვთის ამარა ბაზედ გა-  
შვებულის ასრეთი დიდი საქმე უმაგა-  
ლითაა. არამც თუ არსებობისთვის გა-  
დაწვეტილი და დადებული სახსარი  
არა აქვს აქამდის, თვით უბრალო  
უფლებაც არა აქვს მოაგებელი,  
რომ აქედამ გამოსულს მოწადეს  
ჰქონდეს ნება ისარგებლოს თავის  
სწავლითა, შევიდეს სამსახურში, გა-  
დავიდეს სხვა სასწავლებელში, დამ-  
თავროს სწავლა, მიადროს შუა ანუ  
უმაღლეს სასწავლებელში, და ამავე  
დროს ჩვენი იმედი, ჩვენი მომავალი,  
ჩვენი, გახედვით ფიტავით, არსებობა,  
თვის დაცვა ამ სასწავლებელზედ არის  
დამოკიდებული. ბევრჯერ, ქართულად  
თუ რუსულად, მქონია ბეჭდით ლა-  
პარაკი, რომ კონკურსნი ვგზამენების  
დაწესებით, ჩვენ დავკარგეთ ღონე სა-  
ხელმწიფო სასწავლებლებში შესვლი-  
სა. ჩვენ, ქართველნი ვართ სოფლის  
ხალხი, და თუ არის ვინმე ჩვენთა-  
განი ქალაქებში, არიან ღარიბნი.  
ამისგანა ჩვენ ყოველს სახსარს მო-  
კლებულნი ვართ, რომ გაუწიოთ  
კონკურსი უცხო ტომის ხალხთ, რომ-  
მელნიც სცხოვრებენ ქალაქ ადგილებ-  
ში, აქეთ შედგება. რუსული ენა  
არის მიღებული ჩვენს ქვეყანაშიც  
სახელმწიფო ენათ. უმთავრესი კონ-  
კურსი სასწავლებელში მისაღებათ  
არის რუსულს ენაზედ. რუსმა თავი-  
სი ენა ბუნებრივად იცის, ქართველმა  
კი უნდა ისწავლოს. სომეხნი ქალაქ-  
ში მცხოვრებია, ვაჭარია, ადამიცი-  
მის კაცია, შეძლებულია, ყოველი  
სახსარი კარგაზედ აქვს და ხელში  
უჭირავს, რომ მოამზადოს შეიძრი  
კონკურსისათვის. სხვა ვერაფერი  
აგრეთვე სცხოვრებენ ქალაქ ადგილას,  
დაბადებიდაშვე ლაპარაკობენ რუსულს.  
მაშ. სადამე, მისთვისაც ადვილია სა-  
კონკურსოთ მოამზადება. რჩება ყვე-  
ლაზედ უკან ქართველი. რჩება ქარ-  
თველი სასწავლებლის გარეთ. მაშა-  
სადამე, რჩება გარეთ ცივილიზაციისა,  
განათლებისა, სწავლისა, მეცნიერე-  
ბისა, რჩება უსაღრროთ—მწყვეს მხარ  
და მხარ დანაშთენთ ხალხთა, შეიძი-  
ნოს ყოველივე სახსარი ევროპის სწავ-  
ლა განათლებისა, ისარგებლოს ნა-  
ყოფით მეცნიერებისა და დაწინაურე-  
ბული აზრებისა.

ქალია, ამ გარემოებასთან გემარ-  
თებს ზრუნვა ჩვენი შევლებისა, ჩვე-  
ნი საბოლოოსათვის...  
კიდევ შეუდგა თავად-აზნაურობა  
ამ ზრუნვას. გადასწყვიტეს ამ საქმის-  
თვის გაიწეროს ფული. მაგრამ, სამ-  
წუხაროთ, აღმსრულებელთ დაარკ-  
ლეს ეს საქმე და აქამდის არ მოვიდო  
ამის ქვეა წევრას ბოლო.

ასრე, რომ ამ მხრივ არა აქვს ვერ  
ჩვენს თავად-აზნაურობა სასწავლებელს  
ჩვენის სახსარი.

ეს სასწავლებელი ავგო ფილან-  
ტროპიულს საფუძველზედ. ეს უნდა  
შენახულიყო წვერთაგან შემოტანი-  
ლი და ისრე გარეშე შეკრებული  
ფულებითა. რაღა თქმა უნდა, ამან  
თავი ვერ დაიკარა, შკოლა დარჩა  
უსახსროთ. ძალა-უნებურათ მოგება  
შკოლა ბანკს. ბანკს ჰქონდა სახსა-  
რი შკოლის შენახვისა, მაგრამ ვერ  
არც ბანკი იდგა იმ საფუძველზედ,  
რომ იმას ამისი მუდმივი და დაუ-  
შრობელი წყარო ჰქონოდა, არც შკო-

ლა იდგა იმ ფენზედ, რომ იწრო კავ-  
შირი ჰქონოდა ბანკთან, რომ ბანკი  
იდულებული ყოფილა ამითი ძალა-  
უნებურათ ეზრუნა და ეკისრა გა-  
ძლოლა შკოლის საჭიროებას. შკო-  
ლის წესდება იყო სრულიად სხვა,  
ბანკისა—სხვა, შკოლის წესდებაში არ  
არის ხსენება ბანკი ა, ბანკის წესდე  
ბაში ამ შკოლისა. ამ ს გამო, თუ  
ბანკი ძლიერდა შემწეობას ისრე თავ-  
ის ნებით, თავის სურვილით,  
როგორც ერთმა თათარმა უთხრა ქუ-  
თაისში ოკრუტოი სულს, და, რა  
დროსაც მოინდომოს, ბანკი მოუ-  
სპობს ამ უკანასკნელს სახსარსაც  
შკოლას

ამ გვარათ, ვიმეორებთ, ჩვენი ერ-  
თად ერთი სასწავლებელი, რომელ-  
ზედაც ჩვენი იმედი და ჩვენი სასოება  
არის დამყარებული, არის ყოველს  
საკუთარს ძალას მოკლებული, რომ  
შეინახოს თავი, ვახდეს სახსრათ,  
მიანწეინოს ჩვენს შეილებს უმაღლეს  
სასწავლებელადმდის, მისცეს ჩვენს შთა-  
მოამელობას ცხოვრების გზა, გაუ-  
ძღვენ ჩვენს საბოლოოს, დაიცვას  
ჩვენი ეროვნება საშინელი მომავა-  
ლისაგან.

რაშია ხსნა, რომ შკოლა დადგეს  
მატერიალურად მკვიდრს საფუძველ-  
ზედ, რომ იმან შეასრულოს ის ვალი,  
რომლისგანაც უნდა ველოდეთ ჩვენი  
თავის დაცვას, რა უნდა მოუხერხდეს  
შკოლას, რომ შეინახოს ავიცა და  
გაკეთდეს ჩვენს საკუთარს გიმნაზიით,  
თუ შეიძლება უმაღლესი კურსები-  
თაც?

რომ ჩვენს საზოგადოებას, ჩვენს  
მწერლობას აქამდის ადვილა უფრო  
გახედვით, უფრო გარკვევით ამისი  
კითხვა; აელსნა ქვეყნისათ ის ჩვენი  
უმოწყალო მდგომარეობა სწავლა  
განათლების გზაზედ, მნიშვნელობა  
ჩვენი საკუთარი გიმნაზიისა, დარწმუ-  
ნებული ვარ აქამდის ამ სასწავლე-  
ბელს ექნებოდა მკვიდრი საფუძველი.  
ბევრი ფული, რომელიც წავიდა აქეთ  
იქ თ კერძო პირთა შეწირვით, ვახდე-  
ბოდა ფონი ამ სასწავლებლისა. და-  
რია ჩინიკაშვილის ასულის ანტონო-  
ვის ცოლის შეწირული ფული და  
ქონება, რომელნიც დაიდნენ თითო  
ორალა შევირდთა გასაზრდელად  
სხვა და სხვა ჩვენთვის თითქმის გარე-  
შე სასწავლებლებში, აქიმაშვილის  
ფული, ფული დიმიტრი ქაჭკაძისა,  
რომელნიც ასცდნენ ჩვენს შკოლას  
და გახდნენ ჩვენთვის თითქმის უსარ-  
გებლონი, შეარდგნდნენ ისრეთს  
სათაენოს, რომ შეეძლო ერთი კარგი  
სრული გიმნაზიის შენახვა. ნახევარ  
მილიონზედ მეტი ფული ღდება ამ  
სხენებულთ პირთა თითქმის უბრალოთ  
შეწირული ფულისა. ნახევარ მილიო-  
ნი ფული, რომ ამხსნელი და შემკი-  
ნებელი ჰქოლოდა ამათ, რომ მწერ-  
ლობასა და საზოგადო მოღვაწეთა  
ეთქვიფათ ხალხის ცნობა გონებაში  
მნიშვნელობა ჩვენი საკუთარი გიმნა-  
ზიისა, ექნებოდა ენლა ჩვენს სასწავ-  
ლებელს ფონდათ. ნახევარ მილიონი  
ფული, სახაზინო სარგებელი მანეთ-  
ზედ ექვსი კობეკი წელიწადში რომ  
ვიანგარიშოთ, მისცემდა შკოლას სა-  
მი ათასს თუმანს ფულსა; და თუ  
ბანკის ბილეთებზედ ვამუშავებდით ამ  
ფულსა, სამითას ხუთასს თუმანზედ  
ნაკლებ მოგებას არ მოგვემდა. სამი  
ათას ხუთასი თუმანი ჩვენ შეგვეძლო

კარგი რიგინი საკუთარი გიმნაზია  
გვექონოდა.

აკრეთვე, მწერლობასა და საზოგა-  
დო მოღვაწეთ რომ თავს შეგველო  
და ავეცხნა საზოგადოებისთვის, შე-  
გვეძლო აქამდისაც ბანკის მხრივ ავე-  
ჩინა შენახვის საღსარი შკოლისთვის.

როდესაც განსვენებულმა დიმიტრი  
ყოფანმა ისრე ენერგიულად მოჰკი-  
და ხელი ბანკის საფუძვლის ჩაყრას  
და სძლია ყველა დაბრკოლება და  
ინტრიგები, იმის-ცა და მისთა თანა-  
მოზარეთაც უმთავრესი აზრი ის იყო—  
ბანკს თავისი მოგება მოეხმარებინა  
სწავლა-განათლებლაზედ. მაგრამ, სამ-  
წუხაროთ ეს აზრი გარკვევით ვერ  
შევიდა ბანკის წესდებაში. ამის ნა-  
ცვლად 89 მე 12 მუხლში შევიდა  
შემდეგი რედაქცია. „მნიშვნელოვანი  
(წმინდა მოგებიდან) თბილისის გუ-  
ბერნიის მამულის მფლობელთა და  
მამულის მუშათა საზოგადო საჭი-  
როებისთვის, როგორც მავალითად,  
სტიპენდიის დასაწესებლათ, გზების  
დასაყვანათ, რუების დასამართად.“  
ასრე რომ ამ რედაქციის აზრი არ  
არის განსაკუთრებით საკუთარი სა-  
სწავლებლების სასარგებლო. ცხადია,  
რაკი ასრე საქმე, ბანკს ყოველთვის  
შეუძლიან უარი უთხრას თავად-აზნა-  
ურთა სასწავლებელს და მოუსპოს ის  
უკანასკნელი სახსარიც, რომელიც  
ეძლევა აქედამ. მაგრამ, თუნდა წეს-  
დებაშიც შეტანილი იყეს, რომ ის  
მნიშვნელოვანი მოგება გადაკვეთით ს  
სწავლე-  
ბელს ეკუთენის, მაინც კიდევ არცეს  
შეარდგნეს სრულს და მკვიდრს სა-  
ფუძველს სასწავლებლისთვის. 1884  
წელმა გვიჩვენა, რომ მოსადადნია  
დადგეს ზოგი ისრეთი წელიწადი,  
როდესაც ბანკს მოგება აღარ დარჩე-  
ბა. მაშინ შკოლა რჩება სხე უსაღ-  
სრო. მაშასადამე საჭიროა, რომ უფ-  
რო მკვიდრათ დაიკიროს ბანკის  
მხრივ ჩვენი სასწავლებლის საქმე.

ეს ჩვენი აზრით შეიძლება რა  
ლონის-ძიებთ: ერთი მით, რომ მიე-  
მატოს მოგებიდან იმ ფულს, რომე-  
ლიც არის გადადებული 1884 წლის  
წესდებითი, საზოგადო სასარგებლო  
საქმეებზედ, რომ ამითი მომგებიანი  
წლიდან გადილოს ფული, წლებისთვის,  
როდესაც ბანკს საქმაო მოგება არ  
ექნება, რომ ამ ფულით გაუძღვეს შკო-  
ლა თავის საჭიროებას. მეორე, ენლავე  
მიეცეს ბანკიდან საზოგადო საკუთა-  
რი საღსარი სასწავლებელს, რომ  
შკოლის მდგომარეობა არ იყეს და-  
მოკიდებული ბანკის მოგებასა და ზა-  
რალზედ.

ბანკის წესდებაში ზემოთ მოყვანი-  
ლი რედაქციის მაგიერათ უნდა იყეს  
შესახებ მოგება, რომელიც არის  
გადადებული საზოგადო სასარგებლო  
საქმეებზედ, იმგვარი რედაქცია, სადაც  
პირდაპირ გარკვეული იყეს, რა ესა  
და ეს მოგება უნდა გადილოს თავ-  
ად-აზნაურთა გიმნაზიის სასარგებ-  
ლოთ ანუ გიმნაზიის უმაღლესი კურ-  
სებით, თუ მოხერხდა უმაღლესი კურ-  
სებში, ამაშთან, იმ ფულს, რომელიც  
ენლა წესდების ძალით გადაწყვიტე-  
ლია საზოგადო სასარგებლოთ, მიე-  
მატოს 5% მოგებისა, რომელიც  
გადადებულია დაზარალებულთა თა-  
ვად-აზნაურთა სასარგებლოდ. ამ  
ფულს, თითქმის, ყოველი მნიშვნელო-  
ბა აქვს დაკარგული, რადგან ვერცა-  
რავისა სწელება თავის სიმცირის გამო

და ნიადავ საყვედ ერსა და სამღერავ-  
სა ჰბადავს საზოგადოებაში, არცა  
აქვს ის მნიშვნელობა, რაც შკო-  
ლისთვის. ამასთან, როდესაც ბან-  
კის მოგება იქამდის ავა, რომ  
ბანკში ყველა მოსამსახურეთ ერ-  
გებათ ორს მესამედზედ მეტი იმ  
რიცხვისა, რასაც შეარდგნეს იმათი  
ჯამაგირი, რაც ფული ამ ორს მესა-  
მედზედ მეტი იქნება, გადილოს ისევე  
ამავე სასწავლებლისათვის. გადილოს  
ამავე სასწავლებლისათვის ის ფულიც,  
რომელიც რჩება ზედამხედველს კო-  
მიტეტს იმ სამასა თუმნიდან, რომე-  
ლიც აქვს იმას დანიშნული სხდომა-  
ზედ დაწერებისთვის. არის ერთი  
კადე კარგი თავნი, რომელსაც შეუ-  
ძლიან ჩვენი სასწავლებელი ფეხზედ  
დააყენოს. მც ჯ ძალით ბანკის და-  
მარსებელთ შეუძლიანთ ითხოვონ  
უკან თავისი ფული, როდესაც ეს  
ფული ერთი ოთხთა იმატებს. ერთი  
ათი წლის განმავლობაში ეს ფული  
ერთი ოთხად ვახდება შეიძლება ენ-  
ლავე შეიტანოს კრებამ წესდებაში,  
რომ ამ ფულს სწირავს სასწავლებელს  
სათაენოდ, რომ მოგება ამისი ხმარ-  
დებოდეს მხოლოდ სასწავლებელს.  
მაგრამ, როგორც ზემოთ ითქვა,  
არც ეს სახსარია შეურყეველი. ვარ-  
და იმისა, რომ შესაძლებელია გამე-  
ორდეს 1884 წ., ბანკს ეღრს უფრო  
სხვა რიგი საფრთხე შკოლის შესახებ,  
ეს არის შემდეგი.

ჯერ ეს ავერ ორჯერ არის შემო-  
ტანილი აზრი, რომ მსესხებლებთ  
შეუპკირდეთ სარგებელი. მართალია  
ორჯერვე არ გაიდა კრებაში ეს აზ-  
რი, მაგრამ რითი ვართ დარწმუნებუ-  
ლი, რომ არ გააღვიძებენ კვლად ამ  
აზრს კრებებზედ და არ გაიყვანენ  
თავის დროზედ. შეიძლება შეიყაროს  
თავი მეტმა წილმა ბანკის ფულის  
მსესხებელთა და გადასწყვიტონ—შემ-  
ცირდეს სარგებელი. რაც უფრო ნა-  
კლები იქნება სარგებელი, იმდენი  
მოგებაც ნაკლები დარჩება, ასრე რომ  
შეიძლება შკოლა სრულიად უღონო  
დარჩეს კიდევ.

შეაღწეოდ დამტკიცებული „რუსეთის საზოგადოება“ თანხის და  
შემოსავლის დაზღვევისა, დაარსებული 1835 წელს.

**ს ა ზ ა გ ა დ ა ე ბ ა უ ზ ლ ა ვ ს**

- 1, თანხას შეილებისათვის, ანუ სხვა შემკვიდრებლისათვის, ვი-  
ნიცობაა დამზღვევე გარდაიცვალა.
- 2, თანხას, რომელიც შეუძლიან თვითონ დამზღვეველმა მიი-  
ღოს, როცა მოხუცდება.
- 3, თანხას, რომელიც მიეცემა დამზღვეველს აღნიშნულ ხნის  
შემდეგ, როცა თვითონ დასკირდება შეილების დასაბინაველად,  
ანუ ქალებისათვის სამხითვოდ.
- 4, პენსიას სიკვდილამდის, სამკვიდროს და სე. მისი  
უმთავრესი ავენტო და ინსპექტორი კაცკასიაში ნ. გრუზენბერგი.  
ფოსტის და დებე მის ადრესი: Грузенбергу Тифлисъ. 10—2.

**ქ ა ლ ლ ი ს ს კ ლ ა დ ი**

შეაღწეოდ დამტკიცებულის დიტიატკოვის ამხანაგობის ფაბრიკისა.  
აქ არის საწერი, სტამბის, გაზეთის, ფოსტის და სხვა ყველა  
ნაირი ქალაქი, თეთრი და ფერადი. აგრეთვე ყველა ნაირი სამ-  
წერლო კუთვნილებანი: დათურები, საწერ-კალამი, მელანი და სხვა.  
ფასი ითუბად; როგორც ფაბრიკებშია.  
Тифлисъ, Дворцовая ул., домъ Дворянскаго банка.  
10—4